

"InfoShop"-ის მომსახურების წესები და პირობები

ყურადღებით გაეცანით წინამდებარე წესებსა და პირობებს და „InfoShop-ის“ კონფიდენციალობის პოლიტიკას (რომლებიც ერთიანობაში ქმნის „ხელშეკრულებას“), რომლითაც რეგულირდება თქვენ („მომხმარებელი“ ან „თქვენ“) მიერ „InfoShop-ის“ www.infoshop.ge-ზე განთავსებული საიტისა („InfoShop-ის ვებსაიტი“) და მასზე მოცემული „InfoShop-ის მომსახურებების“ (ქვემოთ მოცემული განსაზღვრების შესაბამისად) გამოყენება.

„InfoShop-ის“ მომსახურებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ რეგისტრაციის შემდეგ და ყველა მომხმარებელს მასზე წვდომა არ აქვს. „InfoShop-ის“ შეზღუდულ ნაწილებზე წვდომის მისაღებად და/ან „InfoShop-ის“ მომსახურების გამოყენებისთვის რეგისტრაციის გავლით, თქვენ აცხადებთ თანხმობას ამ ხელშეკრულების იმ სექციებზე, რომლებიც „InfoShop-ის“ მომსახურებას ეხება და ერთმნიშვნელოვანად იღებთ ვალდებულებას დაიცვათ ამ დოკუმენტში დეტალურად აღწერილი წესები და პირობები ან მიმდინარე მომენტში „InfoShop-ის“ საიტზე მოცემულ სხვა დოკუმენტში.

1. “InfoShop-ის“ სერვისები

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში აღწერილია „InfoShop-ის“ ის მომსახურებები, რომლებსაც ის სთავაზობს მომხმარებელს („InfoShop-ის სერვისები“):

1.2. “InfoShop-ის” ონლაინ მომაცემთა ბაზაზე წვდომა („ბაზაზე წვდომა“) წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების მუდმივად განახლებად მონაცემთა ბაზას. მონაცემთა ბაზაში ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგი სექციებით: კომპანიის იურიდიული სტატუსი, საფოსტო ინდექსი, დირექტორი, დასვენების დღეები, დაარსების თარიღი, თანამშრომელთა რაოდენობა, პარტნიორი ბანკი, მზღვეველი ორგანიზაცია, მობილური ოპერატორი, საკონტაქტო მონაცემები (ხელმძღვანელის ნომერი, email, საკონტაქტო ნომერი, ვებსაიტი, სოციალური ქსელის მისამართი), სამუშაო საათები, შვილობილი კომპანიები, მშობელი ორგანიზაცია, რუკა, მიმოხილვები, ფოტო გალერეა. რეგისტრაციის შემდეგ, ინფოშოპი მომხმარებელს საშუალებას აძლევს მოიძიოს მონაცემები 100-ზე მეტი სამიზნე კრიტერიუმით, იხილოს მონაცემები ან გადმოწეროს მონაცემები ექსელის ფაილში. ამისათვის მომხმარებელმა საჭიროა გაიაროს რეგისტრაცია და შეიძინოს www.infoshop.ge-ზე განთავსებული ერთ-ერთი ფასიანი პაკეტი.

1.3. „InfoShop“ იტოვებს უფლებას დროდადრო შეცვალოს, დაარედაქტიროს, ადაპტირება გააკეთოს, გადააკეთოს ან გააუქმოს “InfoShop-ის სერვისები“ (ან მისი ნაწილები). წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს “InfoShop-ის სერვისებთან“ დაკავშირებულ სრულ შეთანხმებას მხარეებს შორის და ცვლის ყველა ნებისმიერ წინარე დანაპირებს, წარმომადგენლობებს, შეთანხმებებს, განცხადებებსა და განზრახვებს, რომლებიც არსებობდნენ ან შესაძლოა არსებობდნენ „InfoShop-ისა“ და „მომხმარებელს“ შორის.

2. “InfoShop-ის“ სერვისების გამოყენება

2.1. „მომხმარებელი“ თანახმაა არ დააკოპიროს (დათვალიერების დროს შემთხვევითობის გამოკლებით), რეკლამა გაუკეთოს, გადაყიდოს, გაავრცელოს, გადასცეს, თავიდან შექმნას, გამოაქვეყნოს, შექმნას მონაცემთა ბაზა, განახორციელოს ნებისმიერი

ავტომატიზირებული დათვალიერების ან ჩამოტვირთვის ფუნქცია ან ნებისმიერი სხვა სახით მოახდინოს ტრანსფერი ან კომერციული გამოყენება „InfoShop-ის სერვისებთან“ კავშირში მყოფი პროცესებით მიღებული „InfoShop-ის მონაცემების“ ან „ინფორმაცია მესამე მხარის შესახებ“ და გამოიყენოს ისინი მხოლოდ ბიზნესის შიდა მიზნებისთვის.

2.2. ეჭვის თავიდან ასაცილებლად და შეუზღუდავად, დაუშვებელია „InfoShop-ის მონაცემების“ ან „მესამე მხარის შესახებ ინფორმაციის“ გამოყენება რაიმე სახის პროდუქტის ან მომსახურების შემადგენელ ნაწილად ან გადაცემა მესამე მხარისთვის.

2.3. სასტიკად აკრძალულია „InfoShop-ის მონაცემების“ ან „InfoShop-ის სერვისების“ გამოყენება „სპამებისთვის“ და/ან უკანონო და მავნებელი მარკეტინგისთვის – მაგალითად (შეუზღუდავად) „მომხმარებელმა“ არ უნდა გამოიყენოს „InfoShop-ის მონაცემები“ და/ან „InfoShop-ის სერვისები“ არასასურველი შეტყობინებების დასაგზავნად მარკეტინგისთვის ან პროდუქტების/სერვისების შესათავაზებლად. „InfoShop-ის სერვისები“ არ უნდა იყოს გამოყენებული ელ-ფოსტის დასაგზავნად ნებისმიერი ინდივიდისთვის, თუ ეს უკანასკნელი არ იგზავნება მის კორპორატიულ ელ-ფოსტაზე, როგორც ეს წარმოდგენილია „InfoShop-ში“.

2.4. „მომხმარებელი“ თანახმაა, რომ გამოიყენოს „InfoShops სერვისები“ მხოლოდ მის ბიზნესთან დაკავშირებული საქმიანობის განსახორციელებლად.

3. ფლობისა და ინტელექტუალური საკუთრების განკარგვის უფლება

3.1. „InfoShop“ და „InfoShop-ის“ ვებ-გვერდი წარმოადგენს შპს „08 ჯგუფის“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205229947) კუთვნილებას. „08 ჯგუფი“-ს გააჩნია საიტზე განთავსებული კონტენტის, მათ შორის და არა მხოლოდ ფოტომასალისა და მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად კომპანიას ასევე ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, აკრძალოს საიტზე განთავსებული მასალების ნებისმიერი ფორმით უნებართვო სარგებლობისა და გავრცელების ფაქტი.

3.2. „მომხმარებელი“ აცნობიერებს, რომ არ გააჩნია უფლებამოსილება „InfoShop-ის მონაცემებზე“ ან „InfoShop-ის სერვისების“ გამოყენების შედეგად შექმნილ სხვა მონაცემებზე. „მომხმარებელი“ ასევე აცნობიერებს, რომ „InfoShop-ის მონაცემები“ წარმოადგენს ღირებულ ინფორმაციას და საავტორო უფლება, სავაჭრო მარკა და „InfoShop-ის სერვისები“ და „InfoShop-ის მონაცემები“ ან მათთან დაკავშირებული ყველა სხვა ინტელექტუალური საკუთრების განკარგვის უფლება არის და იქნება „InfoShop-ის“ პრეროგატივა. „მომხმარებელს“ არ აქვს უფლება შეცვალოს ან წაშალოს „InfoShop-ის მონაცემების“ აღმნიშვნელი საავტორო უფლების სიმბოლო ან მასთან დაკავშირებული ავტორობისა და საკუთრების ნებისმიერი სხვა იდენტიფიკატორი ან ინფორმაცია.

3.3. „InfoShop-ის“ ლოგო რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანია და დაუშვებელია მათი რაიმე მიზეზით რეპროდუქცია.

3.4. „მომხმარებელს“ ეკრძალება „InfoShop-ის სერვისების“ ნებისმიერი ნაწილის მოდიფიცირება, შეცვლა ან დაკორექტირება. „მომხმარებელი“ ასევე არ გამოიყენებს

„InfoShop-ის სერვისებზე“ წვდომის მისაღებად საჭირო პროგრამას ნებართვის გარეშე ან ისე, რომ „InfoShop-ის სერვისებს“ რაიმე ზიანი მიადგეს.

3.5. შპს "08 ჯგუფი" (საიდენტიფიკაციო კოდი: 205229947) იტოვებს უფლებამოსილებას, საიტზე განთავსებული კონტენტის, მათ შორის და არა მხოლოდ ფოტომასალისა და მომხმარებლების მიერ განთავსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის არასანქცირებული გამოყენების/სარგებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება „ვებ-გვერდის მოხმარების წესების“ შესაბამისად;

4. ვალდებულება

4.1. „მომხმარებელი“ აცნობიერებს, რომ „InfoShop-ის სერვისების“ გამოყენება დამოკიდებულია მის უნარებსა და შეფასებაზე და „InfoShop-ის სერვისების“ გამოყენებისას ყველა რისკს საკუთარ თავზე იღებს. „მომხმარებლის“ მიერ, „InfoShop-ის სერვისებიდან“ ან მათი საშუალებით მიღებული ინფორმაციის ნებისმიერი სახით გამოყენებაზე პასუხისმგებლობა მასვე ეკისრება.

4.2. „მომხმარებელი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „InfoShop-ის“ ნებისმიერი სახის დანაკარგი, ზარალი ან ვალდებულება, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვას „მომხმარებლის“ მიერ „InfoShop-ის მონაცემების“ ან „InfoShop-ის სერვისების“ გამოყენების შედეგად.

4.3. „მომხმარებელი“ აცნობიერებს, რომ „InfoShop-ს“ არ შეუძლია კლიენტების მიერ „InfoShop-ის“ საშუალებით ატვირთული მასალების შინაარსის კონტროლი და შესაბამისად „InfoShop-ის“ არაა პასუხისმგებელი ბაზის საგებლიანობასა ან სიზუსტეზე ან სხვა ინფორმაციაზე, რომელიც ამ სერვისის ნაწილია.

4.4. „მომხმარებელი“ აცნობიერებს, რომ „InfoShop-ის სერვისებიდან“ შეიძლება ვერ მიიღოს სასარგებლო და ზუსტი ინფორმაცია. „მომხმარებელი“ ვალდებულია მოქმედებდეს საკუთარი უნარებისა და შეხედულების საფუძველზე, რათა შეაფასოს „InfoShop-ის სერვისების“ შედეგები და არ დააკისროს „InfoShop-ს“ რაიმე სახის პასუხისმგებლობა არანაირი შიდა ან გარე წარმოქმნილი ხარჯებისთვის, დაკარგული ბიზნეს შესაძლებლობების ან სხვა პოტენციური დანაკარგების გამო, რომლებიც წარმოიქმნა, „InfoShop-ის სერვისებიდან“ მიღებული ინფორმაციის გამოყენების გამო/საფუძველზე განხორციელებული ქმედებების შედეგად.

4.5. „მომხმარებელი“ აცნობიერებს, რომ „InfoShop-ს“ არ შეუძლია კლიენტების მიერ დაგზავნილი ელ-ფოსტების შინაარსის კონტროლი და შესაბამისად, „InfoShop“ არაა პასუხისმგებელი აღნიშნული სერვისის სარგებლიანობასა ან სიზუსტეზე ან სხვა ინფორმაციაზე, რომელიც ამ სერვისის ნაწილია.

4.6. „InfoShop-ის მონაცემები“ იქმნება კითხვარების გამოყენებისა და „InfoShops ბაზაში“ არსებულ კომპანიებთან ინტერვიუების საშუალებით. „InfoShop-ს მონაცემების“ დიდი ნაწილი მოწოდებულია მესამე პირების მიერ. შეგროვებული ინფორმაციის სიზუსტე და სისრულე დამოკიდებულია აღნიშნული კომპანიების თანამშრომლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ „InfoShop“ მიმართავს ყველა გონივრულ ხერხს, რომ მიღებული მონაცემები იყოს ზუსტი და კომერციულად სასარგებლო, „InfoShop“ არ იღებს პასუხისმგებლობას „InfoShops მონაცემების“ სარგებლიანობასა და სიზუსტეზე.

4.7. „InfoShop-ის სერვისები“ ფუნქციონირებს რაიმე სახის გარანტიების, წესებისა ან პირობების გარეშე „InfoShop-ის სერვისების“, „InfoShops მონაცემების“, „ინფორმაცია მესამე მხარის შესახებ“ ან „InfoShops სერვისების“ დახმარებით მოპოვებული ინფორმაციის ხარისხთან მიმართებაში.

4.8. სერვისებისა და ზოგადად ინტერნეტის ინტერაქტიული ხასიათიდან გამომდინარე, „InfoShop“ არ იძლევა გარანტიას ან ვალდებულებას, რომ „InfoShop-ის სერვისები“ იმუშავებს შეფერხებების ან შეცდომების გარეშე. „InfoShop“ არ იღებს პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას ნებისმიერი სახის კომუნიკაციურ ან ქსელურ დეფექტებზე, შეფერხებასა და გაუმართაობაზე (დროებით ან სხვა სახის), რომლებიც წარმოიქმნება „InfoShop-ის სერვისების“ გამოყენებისას.

4.9. „InfoShop“ იძლევა გარანტიას, რომ „InfoShop-ის სერვისების“ (კერძოდ, „InfoShop-ის მონაცემთა ბაზის“) გამოყენებით მიღებული და დაგზავნილი ელ-ფოსტა იქნება ვირუსებისაგან ან „ბაგებისგან“ თავისუფალი. „მომხმარებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ ამგვარ ელ-ფოსტაზე არ იქნება მიმაგრებული ვირუსები და „ბაგები“ და იქნება ერთპიროვნულად პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის მონაცემების დაკარგვასა ან მიმწოდებლის სისტემის დაზიანებაზე, რომელსაც ამგვარი ელ-ფოსტა დაეგზავნა.

4.10. „InfoShop-ზე“ მოცემული კონკრეტული ბმულების დაჭერისას შესაძლოა „მომხმარებელი“ გადავიდეს სხვა საიტებზე, რომელზე არსებული ინფორმაციის სიზუსტესა ან შინაარსზე და ასევე ამ საიტების ნებისმიერ სხვა ასპექტზე „InfoShop“ არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს.

4.11. „InfoShop-ს“ არანაირ ვითარებაში არ ეკისრება პასუხისმგებლობა „მომხმარებლის“ მის მიერ წამოყენებულ პრეტენზიაზე, კერძოდ პირდაპირ ან შედეგობრივ დანაკარგსა და ზიანზე (მოგების, კონტრაქტის, შემოსავლისა ან არამატერიალური აქტივის დაკარგვის ჩათვლით) მიუხედავად გამომწვევი მიზეზებისა, რომლებიც შეიძლება იყოს „InfoShop-ის მონაცემების“ ან მათი საშუალებით უზრუნველყოფილი ან მიღებული ინფორმაციის გულგრილი გამოყენება. „InfoShop“ არაა პასუხისმგებელი და არ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულების დამრღვევად იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერი სახის გაუმართაობა გამოწვეულია ისეთი ვითარებით, რაც ცდება მისი კონტროლის ფარგლებს.

4.12. „InfoShop“ იტოვებს „InfoShop-ის სერვისების“ ფასის ცვლილების უფლებას, რაც არ გულისხმობს უკვე გადახდილი საფასურის ცვლილებას არსებული კონტრაქტის ვადის ფარგლებში.

4.13. „მომხმარებელი“ ადასტურებს მის მიერ მოწოდებული ყველა მონაცემის სისწორეს და მის უფლებამოსილებას მათ მიწოდებაზე.

5. ტარიფები და უსაფრთხოება

5.1. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელს სურს ჰქონდეს წვდომის უფლება „InfoShop-ის მომსახურებებზე“, „მომხმარებელმა“ საჭიროა „InfoShop-ის“ მიერ განსაზღვრული ტარიფების საფუძველზე და მათ შესაბამისად გადაიხადოს თანხა. ფასები მოცემულია

ეროვნულ ვალუტაში (ლარში), დღგ-ს გარეშე. გაყიდულ პროდუქტზე თანხის უკან დაბრუნება არ ხორციელდება.

5.2. „მომხმარებელს“ აქვს შესაძლებლობა გადაიხადოს „InfoShop-ის სერვისებზე“ წვდომის საფასური საკრედიტო ბარათით ინტერნეტში. ასევე, უნაღდო ანგარიშწორებით - გადარიცხვით ინვოისის საფუძველზე. ნებისმიერი სხვა საკომუნიკაციო სისტემის მსგავსად, ინტერნეტის საშუალებით, ინფორმაციის გაგზავნას თან ახლავს მისი მოპარვის რისკები. მიუხედავად იმისა, რომ „InfoShop-ს“ ყველა ნორმალური პრევენციული ზომა აქვს გატარებული ამგვარი ქურდობის რისკის შესამცირებლად, „მომხმარებელი“ აცნობიერებს, რომ ნებისმიერი ინფორმაციის გაგზავნა ხდება „მომხმარებლის“ საკუთარი რისკით და „InfoShop“ არაა პასუხისმგებელი დაიცვას ამ ინფორმაციის უსაფრთხოება მისი გადაცემისას.

5.3. „ფასიანი სერვისების“ გამოყენებისას, „მომხმარებელი“ ეთანხმება ყველა იმ დამატებით და დამხმარე წესსა და პირობას სერვისებზე, რომელსაც დროდადრო ადგენს „InfoShop“.

5.4. „მომხმარებელი“ ვალდებულია დაიცვას მათთვის ხელმისაწვდომი „ფასიანი სერვისები“ და „InfoShop-ის მონაცემები“ არავეტორიზებული მესამე პირებისგან და შეასრულოს „InfoShop-ის“ მიერ „ფასიანი სერვისების“ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დადგენილი ინსტრუქციები. ნებისმიერი იმ „ფასიანი სერვისების“ ან „InfoShop-ის მონაცემების“ გამოყენებისას, რომლებიც საჭიროებენ „მომხმარებლის“ რეგისტრაციას, „მომხმარებელი“ „InfoShop-ის“ მოთხოვნის შესაბამისად გამოიყენებს პაროლს ან მომხმარებლის პირად ნომერს (ID) ან მომხმარებლის სახელს. „მომხმარებელი“ თანახმაა იყოს პასუხისმგებელი ამგვარი უსაფრთხოების ზომების გამოყენებაზე და იძლევა გარანტიას, რომ დაიცავს ამგვარი პაროლის, მომხმარებლის პირადი ნომრისა და მომხმარებლის სახელის ან ნებისმიერი სხვა უსაფრთხოების მექანიზმის კონფიდენციალობას და არ გაუმხელს მათ სხვა პირებს.

6. კონფიდენციალობის პოლიტიკა

6.1. „InfoShop“ საჯარო, პერსონალური ან კომერციული ხასიათის მონაცემთა დამუშავებას ახორციელებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობის ან კანონდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლის შესაბამისად.

6.2. „InfoShop“ პერსონალურ ინფორმაციას აგროვებს მომხმარებელთან/წარმომადგენელთან სატელეფონო საუბრისას, სუბიექტის საიტზე რეგისტრაციის გავლის დროს ან მასთან დამყარებული სხვა კომუნიკაციის საშუალებით.

6.3. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი საიტზე პირად ინფორმაციას ანთავსებს თავისი სურვილით, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. საიტზე ინფორმაციის განთავსებისას, ავტორი ეთანხმება, რომ ინფორმაცია იქნება ღია და ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლება მისი ნახვა.

6.4. InfoShop-ის მიერ პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე დასტურად ჩაითვლება InfoShop-ის მიერ მონაცემთა სუბიექტის ზეპირად (სატელეფონო საუბრის ფორმატი) მიღებული თანხმობით ან/და მონაცემთა სუბიექტის ელ.ფოსტაზე მიწოდებულ ინფორმაციაზე თანდართული ღილაკის - „დასტური“ გამოყენებით ან/და InfoShop-ის

ვებ-გვერდზე რეგისტრაციის/ავტორიზაციის გავლითა და შესაბამისი ინფორმაციის InfoShop-ისთვის მიწოდებით. რის შემდეგ InfoShop-ს ენიჭება უფლება გამოიყენოს აღნიშნული კონფიდენციალური და პერსონალური მონაცემები კომერციული მიზნით და გაასხვისოს მესამე პირზე. ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, InfoShop-ის ონლაინ მონაცემთა ბაზაში, თქვენს კომპანიაში დაფიქსირებული სუბიექტების პერსონალური მონაცემების მართებულობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თქვენს კომპანიას.

6.5. საიტზე რეგისტრაციით, მომხმარებელი კომპანიას ანიჭებს უფლებამოსილებას დაამუშავოს მომხმარებლის პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაცია მომსახურების გაწევის მიზნებისთვის საჭირო მოცულობით, მათ შორის უფლებას, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე გადასცეს სხვა, მესამე პირებს შემდგომი დამუშავების მიზნებისთვის, კლიენტის პერსონალური/კონფიდენციალური ინფორმაცია შეუზღუდავად და ნებისმიერი მოცულობით (კონკრეტული საჭიროების შესაბამისად).

6.6. „InfoShop-ის“ ონლაინ მონაცემთა ბაზაში კომპანიის მიერ მისი თანამშრომლის შესახებ გაცემული პერსონალური მონაცემების სისწორესა და მათი დამუშავების შესახებ სუბიექტის თანხმობაზე პასუხს აგებს მონაცემთა მიმწოდებელი კომპანია.

6.7. ნებისმიერი პირის მიერ „InfoShop-ის“ ვებგვერდის მხოლოდ დათვალიერების შემთხვევაში არ არის აუცილებელი, ისეთი პერსონალური ინფორმაციის გამჟღავნება, როგორცაა სახელი და გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია ან საკრედიტო/სადებიტო ბარათის მონაცემები, რომელიც საჭიროა ინვოისის გამოწერისას.

6.8. მონაცემთა სუბიექტს შესაძლებლობა აქვს განუწყვეტლივ განაახლოს და შეცვალოს პერსონალური ინფორმაცია „ონლაინ“ რეჟიმში, საიტზე რეგისტრირების სექციის საშუალებით. ნებისმიერი ტიპის ცვლილება სუბიექტის შესახებ არსებულ მონაცემებში გადამოწმდება და დადასტურდება „InfoShop-ის“ ოპერატორების მიერ. მონაცემთა სუბიექტს ყოველთვის შეუძლია გამოითხოვოს მის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით ან სხვა საკანონდებლო აქტით. „InfoShop“ არ ამუშავებს მონაცემთა სუბიექტის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს.

6.9. მონაცემთა სუბიექტის შესახებ ინფორმაციის დამუშავების მიზანს წარმოადგენს „InfoShops“ მიერ შეთავაზებების, პროდუქტებისა და მომსახურების გაცნობა სუბიექტისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს დავხვეწოთ და თქვენზე უკეთ მოვარგოთ ჩვენი სერვისები. მონაცემთა დამუშავება, ასევე, საჭიროა საბუღალტრო და საგადახდო სისტემის ადმინისტრირებისათვის. ამასთან, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს ჩვენგან მონაცემთა დამუშავების შეჩერება ჩვენს ვებგვერდზე არსებული რეგისტრირების სექციის საშუალებით. მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაცია შესაძლოა დამუშავებულ იქნეს მესამე პირების მიერ „InfoShops-თან“ არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში.

6.10. მონაცემთა სუბიექტი თანხმობას აცხადებს „მონაცემთა ბაზაში“ განათავსოს და/ან უფლება მისცეს „InfoShops“ მისგან მოიპოვოს და დაამუშაოს გარკვეული საჯარო, პერსონალური და კომერციული მონაცემები. ამგვარი მონაცემები ხელმისაწვდომი

იქნება მესამე პირებისთვის და შესაძლოა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის იქნეს გამოყენებული. „მესამე მხარის შესახებ ინფორმაციის“ ან „მესამე პირების კუთვნილი მონაცემის“ (რაც შეუზღუდავად მოიცავს „მომხმარებელის“ თანამშრომლებს) მოწოდებისას „მომხმარებელი“ თვითონ უზრუნველყოფს მათგან თანხმობის მიღებას. „მომხმარებელი“ არ არის უფლებამოსილი გადასცეს „InfoShop-იდან“ მიღებულ ნებისმიერი ინფორმაცია მესამე პირებს.

- 6.11. „InfoShop“ უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტისგან მიღებული ინფორმაცია გადასცეს მესამე მხარეს, როგორც აგრეგირებული სტატისტიკის სახით (მაგ. მომხმარებლების რაოდენობა, ადგილმდებარეობა, სხვ.), ასევე ინდივიდუალური მონაცემები სუბიექტის თანხმობის საფუძველზე. „InfoShop“ უფლებამოსილია სახელმწიფო ინსპექტორისა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მონაცემთა გამოთხოვის შემთხვევაში მიაწოდოს მას ნებისმიერი ხასიათის მოთხოვნილი ინფორმაცია.
- 6.12. „InfoShop“ უზრუნველყოფს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღებას, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან. თუმცა, შეუძლებელია ინტერნეტით გადაცემული მონაცემების უსაფრთხოების სრული დაცვა. შედეგად, მიუხედავად „InfoShop-ის“ მაქსიმალური ძალისხმევისა დაიცვას თქვენი პერსონალური ინფორმაცია, არ შეგვიძლია ჩვენთან გამოგზავნილი ნებისმიერი ინფორმაციის მისი დაგზავნის მომენტში უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფა და მისი დაგზავნის რისკი თქვენი პასუხისმგებლობაა.
- 6.13. „InfoShop“ უფლებამოსილია გამოიყენოს მონაცემების გრაფა („ქუქის“) ვებგვერდზე მისი გამოყენების გამარტივებისთვის.
- 6.14. „InfoShop-ის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადაცემა საზღვარგარეთ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მიზნით, წინამდებარე წესებითა და კანონდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.
- 6.15. „InfoShop-ის“ ვებგვერდისა და ჩვენი გადახდის პროცესის ნაწილი ავტომატიზირებულია, შესაბამისად, შესაძლოა თქვენი პერსონალური ინფორმაცია დამუშავდეს როგორც გადახდის პროცესის შემადგენელი ნაწილი. იმისთვის, რომ არ ჩამოვრჩეთ სწრაფ ტექნოლოგიურ ცვლილებებს, ჩვენ შესაძლოა დროდადრო გადავხედოთ ამ მეთოდს და შევცვალოთ ის, შესაბამისად შევცვალოთ წესები და პირობები, რის შესახებაც „InfoShop“ გამოაქვეყნებს საჯარო შეტყობინებას ვებგვერდის მეშვეობით.
- 6.16. „InfoShop“ მუდმივად აწარმოებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატთან და უზრუნველყოფს საქმიანობის შესაბამისობას არსებულ საკანონმდებლო რეგულირებასთან.

7. მომხმარებლის მასალები და ქცევა

7.1. კონფიდენციალობის პოლიტიკის თავში განხილული პერსონალური ინფორმაციის გარდა, „InfoShop-ის“ ვებგვერდზე თქვენ მიერ ატვირთული ნებისმიერი მასალა ჩაითვლება არაკონფიდენციალურ და არაპერსონალურ ინფორმაციად. „InfoShop-ის“ ამგვარ მასალასთან დაკავშირებით არანაირი ვალდებულება არ ექნება. „InfoShop-ს“ მიენიჭება უფლებამოსილება დააკოპიროს, გაასაჯაროს, გაავრცელოს, სხვა მონაცემებთან გააერთიანოს და სხვ. ამგვარი მასალა და ყველა სახის, ვიზუალური, ხმოვანი და ტექსტური მონაცემები გამოიყენოს კომერციული თუ არაკომერციული მიზნებისთვის.

7.2. თქვენ გეკრძალებათ „InfoShop-ის“ საიტზე რაიმე სახის ინფორმაციის განთავსება ან გადაწერა, თუ: (ა) ამ მასალაზე არ გაქვთ შესაბამისი ლიცენზია და/ან თანხმობა – კერძოდ, თუ მესამე პირების შესახებ ან მესამე პირების კუთვნილი მონაცემის მოწოდების შემთხვევაში მიღებული არ გაქვთ მათგან თანხმობა; (ბ) ეს მასალა ხელს უწყობს ქმედებას, რომელიც შეიძლება განხილული იყოს როგორც კრიმინალური დანაშაული, გამოიწვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა ან სხვაგვარად არღვევდეს კანონს ან მესამე პირების უფლებებს იურისდიქციაში, რომელიც რეგულირდება წინამდებარე წესებითა და პირობებით ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის კანონებით; (გ) ეს მასალა არის ტექნიკურად სახიფათო (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კომპიუტერული ვირუსი, ლოგიკური ნაღმი, “ტროიანის ცხენი”, „ვორმი“, სახიფათო კომპონენტი, დაზიანებული მონაცემები ან სხვა მავნე პროგრამული ან სახიფათო მონაცემები); (დ) ეს მასალა მიზნად ისახავს სხვების შეცდომაში შეყვანას და არასწორი ინფორმაციის გავრცელებას.

7.3. დაუშვებელია „InfoShop-ის“ საიტის ბოროტად გამოყენება (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ჰაკერობა“, არავტორიზებული რეკლამები, მარკეტინგული მასალები, „ჯანქ მეილი“, „სპამი“, ერთმანეთს მიყოლებული წერილები, პირამიდული სქემები, სხვა).

7.4. „InfoShop“ მაქსიმალურად ითანამშრომლებს სამართალდამცავ ორგანოებთან ან სასამართლოსთან, და შეასრულებს მათ მოთხოვნას გაასაჯაროს იმ პირების იდენტობა ან ადგილმდებარეობა, რომლებიც ავრცელებენ ისეთ მასალებს, რომლებიც წინამდებარე ხელშეკრულებას არღვევს.

8. მონაცემები

8.1. „მომხმარებელი“ პასუხისმგებელია უზრუნველყოს მისი შესაბამისობა „InfoShop-ის მონაცემებთან“ დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობასთან.

9. კომპანიის შესახებ

9.1. იურიდიული ფორმა და დასახელება: შპს “08 ჯგუფი”
საიდენტიფიკაციო კოდი: 205229947
ბანკი: ს/ს „თი ბი სი ბანკი“ ბანკი კოდი: TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: GE81 TB79 8693 6070 1000 01
ტელეფონის ნომერი: +995 (32) 2910808